სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

24 ოქტომბერი, 2024 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/85

„საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 ივნისის N36 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, რექტორის მოადგილის სამსახურებრივი ბარათის (MES 1 24 0001341056, 17.10.2024), აკადემიური საბჭოს რეგლამენტისა და 2024 წლის 31 ოქტომბრის №06-02/20 ოქმის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 ივნისის N36 დადგენილებაში შევიდეს ცვლილებები,** კერძოდ, დადგენილებით დამტკიცებული **დებულების** (N1 დანართის):

ა) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,გ) მიზნობრივი პროექტის დაფინანსების საერთო ბიუჯეტის პროექტი (ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებული);“;

ბ) მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საკონკურსო განაცხადების მიღების დასრულების შემდგომ კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია (ელექტრონული ან/და მატერიალური, რაც მოთხოვნილი იყოს კონკურსის გამოცხადების ბრძანებით) გადაეცემა შესაბამისი მიმართულების საკონკურსო კომისიას.“;

გ) მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ)“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) დამხმარე პერსონალი უნდა იყოს ბსუ-ში დასაქმებული სხვა პირები, ბსუ-ს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-2, მე-3 ან მე-4 სასწავლო წლის, სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის მე-2, მე-3, მე-4, მე-5 ან მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მე-2, მე-3, მე-4, მე-5 ან მე-6 სასწავლო წლის ან სამაგისტრო/სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები, რომლებიც წამოჭრილი ტექნიკური პრობლემების გადაჭრაში დაეხმარებიან

პროექტის ძირითად პერსონალს. ახალგაზრდა მკვლევართათვის კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში, დამხმარე პერსონალის შემადგენლობაში შეიძლება ჩართულ იქნეს არაუმეტეს ბსუ-ს ორი მაგისტრანტი ან/და დოქტორანტი.";

დ) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. თითოეულ პროექტში სავალდებულოა ბსუ-ს სტუდენტის მონაწილეობა (უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-2, მე-3 ან მე-4 სასწავლო წლის, სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის მე-2, მე-3, მე-4, მე-5 ან მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მე-2, მე-3, მე-4, მე-5 ან მე-6 სასწავლო წლის ან სამაგისტრო/სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტი). ამასთან, ინტერდისციპლინური სამეცნიერო–კვლევითი პროექტის შემთხვევაში, სავალდებულოა პროექტში მონაწილე თითოეული ფაკულტეტიდან (მიმართულებიდან) არანაკლებ 1 (ერთი) სტუდენტის და არანაკლებ 1 (ერთი) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირის ჩართულობა.";

ე) მე-4 მუხლის მე-2^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2^1. პროექტში შესაძლებელია ბსუ-ს სამაგისტრო/სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტის ან საბაკალავრო/მედიცინის ან სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის იმ სტუდენტის მონაწილეობა, რომელსაც წინა სემესტრების სასწავლო კურსებში მიღებული აქვს 71 ქულა და მეტი (საშუალო შეწონილის გამოთვლის ფორმულა:

$$\frac{A_1B_1 + A_2B_2 + \cdots + A_nB_n}{A_1 + A_2 + \cdots + A_n}$$

A_i- საგნის კრედიტი, B_i - შეფასების ქულა.)";

ვ) მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. ბსუ-ს მიზნობრივი პროექტის შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და გამარჯვებული პროექტების შერჩევის მიზნით უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით. რექტორის ბრძანებით განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.";

ზ) მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიის სხდომებს.

3. კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლებელია სხდომები გაიმართოს, როგორც პირისპირ, ასევე შერეული ფორმატით ან დისტანციურად. თითოეული სხდომის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს (დისტანციურად ჩატარების შემთხვევაში ელექტრონულად) კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და კომისიის სხდომის მონაწილე კომისიის წევრები.";

თ) მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დასაფინანსებელი პროექტის ბიუჯეტში პროექტით პერსონალის შრომის ანაზღაურების გათვალისწინების შემთხვევაში, იგი არ უნდა აღემატებოდეს პროექტის დაფინანსების მაქსიმალური ოდენობის (რაც განისაზღვრება კონკურსის გამოცხადების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებით) 40%-ს."

2. დადგენილება და კოდიფიცირებული ბსუ-ს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარი).

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი **მერაბ ხალვაში**